



№ 9 (1307)

მაისი

1969

• ბანკი

გამოცემის 46-ე წელი ვადი 20 კაბ.

— ეს ავთოგუსი უკონდურობოა?
— უკონდურობო კი არა, უკატრონოა!

სატირულ სიტყვას უერ გქადრებ,
სხვა სიტყვა უნდა მოგქებნო —
სახოტბო, საკარდანახო,
ნაშდვილად საიო სებო:

შენ იუბილე დაგშვენდა
და მერე როგორ დაგშვენდა!
მარჯანიშვილის თეატრსაც
დაშვენდა ხალხით
გაჭერა!

შენი ხალასი ღეწები
თანამგზავრებად მიბმულან
ტელევიზიას, რადიოს,
პრესას, დარბაზს და ტრიბუნას...

„ტუმი“ ჩაჯერი, მოასწრე
ნახვა ნახევარ პლანეტის
და გისრულებდნენ უსიტყვოდ,
რასაც ლექსებით ბრძანებდი.

ბევრი იარე. სეყველგან
პოპულარობა მოპფანტე
და დაგრჩა ერთი ნაბიჯი
სახალხო პოეტობამდე.

ჩრდილში არასდროს ჩერდები —
სიჩუმეს არდაჩვეული —
და შენი „რჩეულიანად“
ხარ ჩვენი ხალხის რჩეული.



მიმოხილული შარული გ. შირვალაშვილი

ზოგჯერ ღეწები, როსული მოტივი
(აზრს მოგასხენებ შე პირადს):
დაწერილიც კი არა გაქვს
და ხალხმა იცის ზე პირად.

ხალხს არასოდეს მოწყინდე
და ნურასოდეს დაგდალოს
ამდენმა თბილმა შეხვედრამ —
დილამ, შუადღემ, საღამომ...

დე, შენს მთარგმნელებს — ტიხონოვს,
ევტუშენკოს თუ მეუროვს —
არასდროს გამოლეოდეთ
რუსული სანონეშვილო!

ნონეშვილობა ავ, ბევრს არ
გთხოვ:

იცოცხლე თრი ამდენი
და გაიტანე ბოლომდე
ტაშის ეს კორიანტელი!

კიდევ ერთ თხოვნას დაურთავ
საიოსებო მუნასიბს:
ხანდახან რამე დაბეჭდე
ჩვენს ოთხფურცლიან
უუნალში შინაგანი

გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზომადი
მოღვაწეს — იოსებ ნონეშვილს — დე-

გადგის 50 წლისთავი შესრულდა.
ეს წლის 7 აპრილს მარავანილის სახელო-
ბის აკადემიის თეატრში გაიმართა ეს თარიღი-
სადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ხვალ წახელ სამოგზაუროდ,
თბილისში ვერვინ მოგიძევს,
ა, შენ კომპასი საჩუქრად,
იოსებ ელიოზის ძევა!

ლ ი ა ხ ა რ ა თ ი

იგილისი ა. 1 ავთოსარეამონო ქარხნის ზოგიერთ ამაგლარ მუშაკს მოჰითხვამდე და მოსწრებამდე.

გამარჯობა და კარგად ყოფნა ნუ მოგიშალოთ ყოვლისშემძლე გან-
გების ძალამ, ჩვენო მოამაგე და მოჭირნახულე მუშაკებო!

როგორა ხართ, როგორ ბრიანდებით?.. იმედია, კარგად იქნებით, ან
კი რატომ უნდა იყოთ ცუდად, როცა ღმერთის რევენურები და ხატიც...
(შეგწიოთ ორივეს მაღლი!).

ჩვენ თუ გვიყოთხავთ, არა ვერავს რა, ვართ ღევენგან მოუტყუდული.
იქნება ისიც იქითხოთ, ვინ არან, ასე მიკავშირობულია რომ იტერე-
ბიანი და... გამოიტყდებით, ჩვენ თქვენი ქარხნის ტერიტორიიდან სხვა-
დასხვა დროს წამოსული მძღოლები განსაკუთრებულია, ისინი, ამ რამდენიმე
თვის წინა გასარემონტებული მანქანები რომ შემოვაგორიდა რევენს სტუ-
მართმოყვარე, საქმიან ეზოში და ამ ცოტა ხნის წინათ კი იხევ უკან გა-
ვაგორეთ „შეკეთებულ-შემოკეთებულ“.

ეს, მახლასი.. აოგორ შეგაწურე, როგორ მოვაბეზერთ თავი, რამდე-
ნი კარგი რამე გავახსენდება თქვენგან, რა მამაშვილურად გვიქცევოდით,
როგორ გვარიგებდით, ცხოვრებას გვასწალიდით და ჩვენ კი ძნელად აღ-
საზრდელი ყმაშვილებით ვეიტობდით, თავს კეს ვუშერდოთ და ვა-
დებით პრიციპები. ისე კი, ჩვენს შორის დარჩეს და, ნამდილდე უსაფუ-
ლო იყო ჩვენი სიჭიუტე. რომ გვეცნებოდით, ჩვენს გარემონტებულ
მანქანებს წყალი არ გაუვაო, რატომ ამ გადატებდით?.. რატომ გვეპარე-
ბოდა ევგა?.. მეტე რა მოხდა, რომ წოდერთს წყალიც გაუვიდა და ზე-
თიც. ზოგს, ბეჭინიც და ნიგროლიც... დიდი ამბავი, თუ ერთს ფეხის
მუხრუკი არ უდარგოდა და მეორეს — ხელის... ქვეყანა ხომ არ დაცეუ-
ლა, თუ მოთოროვოს ელექტრომაშექები არა შეინდა და გზას ხელისფა-
თურით ვიკლევდით? აბა, აეთი უმოიშვნელო დევილებისათვის ჰმო არ
გააჩერებდათ ქარხნის უზამი ახალი შეღებილ მანქანებს!.. აკი ამიტომაც
იყო, რომ, ჩვენამ თამამდებრებულების ფართოდ გაგვიღოთ ალაკაციას
კარგი და გამოგვაშვით გარეთ ჩვენი მანქანებიანად მამშვიდეური დარი-
გებით: „პატარ-პატარა“ რამე თქვენ თვითონ შეაკეთოთ. ჩვენც მეტი რა-
ღა გზა გვქონდა, წამოვედით. გადაბმული წერობივით „გამშვი“, ქვეშ-
ნად ვიარო და ბედი ჩემი ვიტორიას სიმღერით. მცხეთამდე ვამღერეთ...

შცხეთაში კი... თქვენ რომ ვერ შეამჩნიეთ თქვენს მიერ „გაახლებულ“
მანქანებს ძველ-ძველი წვრილმანი დევებეტები, ტრასის ავტო-ინსპექციაში
შეამჩნია და გვისტვინებ, მაგრამ რა გვისტვინებს!.. სიმართლე გითხრათ,
გაქცევა ვინდოდა, რომ თქვენ პრესტიუსი არ შეგვებდალა, რაც არ უნდა
იყოს, მძღოლები ვართ და გამრთ ხალხს ვეებანინ, მაგრამ ისევ თქვენმა
ახლად შედებიობა მანქანებმა გვიცეულის: გაქცევის პირველ დღაზევე მია-
სვეს ირო ადგილას ფეხი და ალი აძირნები. ბევრი ვეხებულ, ბევრი ვე-
რულარეთ, თქვენი სახელიც ბევრი შევასენები, მაგრამ არაურია არ
გაჭრა!.. ამასობაში ავტონისპექტორაც დაგვალგა თავშე და საღლა წავიღო-
დით! მხოლოდ ისლა მოვახერხეთ, რომ ზემოაღნიშვნულ დიდებეტბზე
კრინტი ას დაგვიძრავს ავტონისპექტორებან, მაგრამ თვითონ იპოვნებ-
უცვლელაციერო. ჰოდა, ასხა-გამარტებები დაგვატერინებს. ჩვენ ამაჟღადაც უა-
რი ვუთხარით და ქალალების უქონლობა მოვიზებეთ, მაგრამ არც გვი-
შველა ქალალებიც თვითონ მოვალეობის და ფაქტებიც. რაღა უნდა ვა-
გნა?

ამ წარმოსაც მათი მოცემული ქალალებითა და ფაქტებით გწერთ
შცხეთიდან. რაცა მიიღეთ, შეიძლება უცვლენი ალარცე ვიყოთ ა. ზო-
გიერთებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთზე გადამულებმა განაგრძონ გზა და,
აღმართ, ამ დღეებში წალენ. ზოგა კი ისევ მცხეთაში ვამრებოთ ტატების
დაგმას. მართლაც რომ კოგა უფლის ჩემი ძველი სატანტო ქალაქი. იცო-
ცხებლეთ, ვიკლერთ გული ისტორიული ადგილების ურებით. ცოტა ჩვე-
ნი ისტორია ვამოვიდა უილობა, თორემ ასე არა გვიშავს რა. სხვა რაღა
მოვწეროთ? იმედია, მალე შევცდებით ერთმანებით.

ჲო, მათთავა, მთავარი დავავიწედა: კარგი იქნება თუ მხარს დაგვი-
ლოთ და მცხეთაში ნავთონლებში, გლდანსა და სხვა ახლო-
მახლო ბუნებებში გახსნით ავტოსასერიონო უილიალებს, საღაც იქვენს
მიერ გარემონტებულ მანქანებს, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა გა-
რემონტებენ და გზას დაულიცავენ სხვა ბუნებებისაკენ.

რეიტლი და ჭიათველა

(საჩხერული ვარიანტი)

რწყილი და ჭიათველა
მობილდნენ. გასწიეს ერთად.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ქალაქიდანც არ იყვნენ გასულები, ორმოს წაწყდნენ.

ისკუპა რწყილმა და გადაახტა.

ისკუპა ჭიათველამ და შიგ ჩავარდა.

რწყილი მაღაზიაში გაიცა - თოვის საყიდლად, ჩემს ძმობილს გადავარჩენო. გამყიდველმა დახლს ქვემოდან საუცხოო იმპორტული თოვი ამოულო.

რა ლირსო, — ჭიათხა რწყილმა.

შენ ვინ გვითხვეს, რა ლირს? შენ ის იკითხე, მე როგორ ვყიდოთ, — უპასუხა გამყიდველმა, რძელიც რწყილსაც კი გაატყავებდა.

რწყილი ახტა-დახტა. გამყიდველმა უთხრა: ამდენი და ამდენი ლირს თავის ფასში, ამდენი და ამდენი ზედმეტი მიმიცია და ამდენი და ამდენი უნდა მომცეო.

რწყილი გამგესთან მივიღა, მაგრამ მან ხელები გაშალა: თუ გინდა, ჩვენებურ თოქს გიშოგნი თავის ფასში, მაგრამ არ გირჩევ: ჭიათველის სიმძიმეს ვერ გაუძლებს და გაწყდებაო. ეს თოვი მაგ გამყიდველს თვითონ აქვს მოტანილი ბაზიდან და მე რა ვქნა, როგორც უნდა, ისე ყიდისო. თუ ზედმეტის გადახტა არ გინდა, ნუ იყიდოთ.

რწყილმა იფიქრა, იფიქრა და გამგის უფროსთან შევიდა.

საჩივარი რომ მოისმინა, უფროსმა ის გამყიდველი დაიბარა და სულ ტყავი გააძრიო რწყილის თვალშინ. რწყილს ისე შეეცოდა, გამოქომაგება გადაწყვიტა, მაგრამ უფროსმა გარეთ გამოისტუმრა და მარტო რომ დარჩენენ, მხარზე ხელი დაჟქრა სიცილით გამყიდველს აბა, ჰე, და, აბა, ჰო. ისე, ყოველ შემთხვევაში, მაინც გააფრთხილა: შე ულმერთო, არ იცი, მაგი რა რწყილია? მაგისთანა ინტრიგანი მეორე არა ჩვენს ჩაიონში, ისეთი კენა იცის, სიკვდილს მოგანატრებს, ეგ შეიძლება ყველას გადახტეს და სულ უფროსთან იჩივლოს, მერე ხომ დავიღუბეთო.

გამყიდველი რომ გარეთ გამოვიდა, რწყილმა იფიქრა, ახლა კი მომყიდის თოქს თავის ფასშით, მაგრამ სულ იორ გამოუჩინეს.

რწყილი ისევ ახტა-დახტა და უფროსის უფროსთან იჩივლა. საჩივარი ისევ იმ სექციონერთან დაბრუნენს... მან ერთი დამპალი თოვი იშოვნა, უცხოური, იარლიყი მიაქრა და ის მიყიდა.

რწყილი რომ ორმოსთან მივიღა, ჭიათველა დამხრჩევალი დაუხვდა. გამწარდა საწყალი, თოვი ჩამოაბა და თავის ჩამოხრიბა გადაწყვიტა, მაგრამ ამდენჯერაც არ ჩამოეკიდა, იმდენჯერ გაუწყდა.

იწვალა, იწვალა და შინ დაბრუნება, გადაწყვიტა. მაგრამ შინაურმა რწყილებმა ალარ მიიღეს. მან წაეჩუბა: შენი გულისათვის მეც ალმაცერად მიყურებენ სამსახურშით. მშობლებმაც ცხვირი უბზუეს და რა უნდა ექნა? ნებისყოფა მოიკრიბა და გზას გასულგა...

რწყილი ახლაც მიღის...

რწყილი

რწყილი
რწყილი

წახ ედვით ოყო თუ. წაუხედავად, ტასიკოს ძალიან უყვარდა იმპორტულა საქონელი. დიდი გასაჭირი ადგა ამის გამო მის მეუღლე გერასიმებს. თუ არ ჩაფლოთ გერასიმეს ტრუსებსა და მაისურებს, რომლებსაც მშობლიური ეტიგტები ეყრა, ოჯახში ყველაფერი უცხოური პქონდათ. ტასიკოს — ფრანგული, ინგლისური, იტალიური, გერასიმეს კი — ბელგიური, ფრანგული, ჩეხური ფეხსაცმელები. ტასიკოს — ინგლისური და გერასიმეს — იუგოსლავი წინდები, ტასიკოს — იტალიური „დვოიკა“ და „ტროიკა“, გერასიმეს — იაპონური და ფინური კოსტუმები. ტასიკოს — გერმანული და გერასიმეს — ჩეხური შლაპები, ტასიკოს — ფინური და გერასიმეს — იაპონური ლაბადა... ჩვენებური ავეჯი ვისა აქვს, რომ მათ ჰქონდათ? სპეციალურად გაგზავნა ქმარი მოსკოვში და აყიდვინა ჩეხური სასადილო და უნგრული საწოლი. რა ვეყოთ, თუ ზედმეტი გადაიხადეს? ამას წინათ ორასმანეთიან „ნუგაში“ (გერასიმეს ერეოდა და ირისის პალტოს „ნუგას“ ეძახდა) ოთხასი მანეთი მისცეს. გერასიმეს ჯერ ფასი ებევრა და პიანინოს ფასს შეადარა; ეჩვენებოდა, ტასიკოს ტანზე შავი პიანინო აციიაო. მაგრამ მერე ესეც გადაავიწყდა.

როცა გერასიმე ავად გახდა და ექიმმა უთხრა, პონკონგის გრიპი აქვს, სიხარულით ცას ეწია ტასიკო.

ახლა დადის ტასიკო მეზობლებში ცხვირაწეული და ტრაბაზობს, ჩემს ქმარს იმპორტული გრიპი შეეყარაო.

შალვა გოგოლაძე

ნახ. 6. გალაზონიასი



— ყინვაგაებლე ვეშლი და ჩაი რომ გამოკყავო ამ დელოცილებს, ასფერო.



— გეზდები!... საყურებები!... გრჩსლეტები!... სასთი და
სხვა სამაკულტი!

— გადღს თუ შვრები, ბარემ ესეც თან მიაყოლე!

— ყური მოვკარი, ძალიან საინტერესო
მეზაერობაში მიდიხარ, — ღიმილით მითხ-
რა დალაქმა და „კარმენის“ ანდამატური
სურნელება შემომაფრქვია.

— შენც გაიგე, ქორა?

— გავიგე რომელია, ბიჭო, თანაც მაღალ
დონეზე. საქმე ეგ არი! აბა, დანები იქ
იქნება! აი, მე, ძმა, ერთი სამართებელი
უნდა ჩამომიტან!

— კი მაგრამ, იცი, სად მივდივარ?

— ოქმა არ გინდა, ზაგრამანიცა სულ ერ-
თია.

— აიღე!

— კარგი, მორჩი! ერთი დანა შენზეა!
— ხელი ამიკრა მანეთიანზე უროამ და
ზურგზე ხელის დარტყმით გამომისტუ-
რა.

შესვენებაზე ძია მალაქიამ თავისი ხე-
ლით მომიტანა „სალიანკა“ და გვერდზე
მომიჯდა.

— მიდიხარ, ა?

— კი მივდიგარ, ძია მალაქია!

— მაღალ დონეზე...

— ეგეც სწორია.

— ოჭ, აბა ტაშტები და ქვაბები იქ იქ-
ნება, ა...

— კი მაგრამ...

— „კი მაგრამ“ არ უნდა მაგას! მე ვი-
ცი, შენ იხეთი გულის ბიჭი ხარ, ერთი პა-
წეკელა ქვაბი უნდა ჩამომიტან!

— „ესეიუზმი“, — საუბარში ჩაერია მე-
ზობელი, — მიდიხარ, არ იშლი?

— მივდივარ.

— კი მაგრამ, უცხო ენა იცი?

— იქ ჩემი ენაც კარგად გაჭრის.

— არა, მე არ ვხუმრობ, ცოტა ინგლი-
სური უნდა იცოდე.

— მე ინგლისში არ მივდივარ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. მთელი
მსოფლიოს ნახევარი ინგლისურად ლაპა-
რაკობს. ცოტა რამ მაიც აუცილებელია.

— მაგალითად?

— მაგალითად, „გამარჯობა“, „ნახვამ-
დის“, „ძია“, „არა“...

უცხოური იურიდიკი



— ლენა, რატომ მიიღე ორია-
ნი ისტორიაში?

— სრულიად უბრალოდ, დედი-

კო: მასწავლებლის კითხვა და ჩე-

მი პასუხი ერთმანეთს არ დაემთ-

ხვა.

— როგორ მოგწონთ შინ დამ-

ზადებული ტორტი?

— შესანიშნავია! ილონდ მით-

ხარით, გათაყვევა, რომელ საონ-

დიტრო მაღაზიაში შეიძინეთ?

გაითხავთან

ერთი ახალგაზრდა ქალი მკით-
ხვთან მივიდა.

— თქვენ ცოლად გაჰყვებით
მღიდიან მამაკაცი.

— როგორის?

— ქალიან მალე!

— საოცარია! რა ეშველება
აქმს ახლანდელ მეუღლეს!

სასალილოში

— ბატონო მზარეულო, მე
თქვენ ორი ულუფა ხორცი შეგი-
ვეთოთ. თქვენ კი ერთი ულუფა
მომიტანეთ!

— მაპატიეთ, როგორ დაწილება! დაპერიწყვია, არა რო-
ცი იროვნება! მომერანა.

— კარლ, გადახვედი მეორე
კოლაში? ეკითხება ბებია პატარა
გადაუნა.

— დიას, ბებიკო! ჩენ ყველანი
გადავედით მეორე კლასში. ჩენი
მასწავლებელი კი იმავე კლასში
დარჩის, — ამაყად უცასუხა ბიჭუ-
ნებ.

— ბატონო ექიმო, დიდხანს
დაჭირდება აქვენთან მკურნა-
ლობა თუ მალე მომარჩენთ?

— ეს თქვენს ჯიბეზეა დამკი-
ღებული!

— ელზა! — ეძახის დედა გო-
გონას, — მოდი, ისაუზმე, თევზი
უკვე დიდი ხანია დგას მაგიდა-
ზე!

— დედიკო, თევზს ფეხები
აქვს? — კითხულობს გაოცებუ-
ლი გოგონა.

თარგმანი ვ. პარგანაშვილება



— ასე უცებ ვერ გამანათლებ.

— კაცო, გული რამ გაგიტეხა? ხუთ წუ-
თში ისეთ ინგლისურს გასწავლი, ინგლი-
სულიდან ვერ გაგარჩიონ! ოკეი!

— ოკეი! — მივუგე მე.

— მორჩა, ერთი, აუცილებელი სიტყვა
უკვე ისწავლე. არა და, მე რომ ინგლისურ
სიტყვათა ხუთტომეულის ლექსიკონი მქონ-
დეს, ორ დღეში პროფესორს გაგხდიდი,
მაგრამ... ისე, მართლა, იქნებ, ამ გასსე-
ნებაზე, წამომიღო, ბიჭო, ა! — ოსტატურად
შემაპარა ინგლისურის „მასწავლებელმა“.

— ოკეი! — გოქენი მე და უცემენი-
ოდ ლიფტისაგენ გავეშურე.

ლიფტის კარი დეიდა უნიამ გამიღოდა
ისე მოხერხებულად მოისურა, რომ შიგ
მარტო ჩენ აღმოჩენილი.

— მიდიხარ არა, ბიჭო?!

— მივდივარ, დეიდა უნია!

— მე რაღა უნდა ჩამომიტან, აა?..

— თქვენ პატარა ლამაზ ლიფტს ჩამო-
გიტანთ, დეიდა უნია.

— ლიფტი რა შავ ქვად მინდა, ბიჭო?
ერთი კოხტა თავსაფარი და პოლსაპოჩები
არ მეკუთვნის შენგან?

— ოკეი! — ვუთხარი დეიდა უნიას და
დაბარებულივით მოსულ ტაქსში შევვარდი.
ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სიწყნარე
ისევ მე დავარღვიე:

— ასეთი რამ გაგიგიათ? საზღვარგა-
რეთ მივღივარ, არავინ არ მეკითხება, სად
და რატომ. ყველას...

— საზღვარგარეთ? — გამაწყვეტინა
ლაპარაკი მძღოლმა. — საზღვარგარეთ მეც
ვყოფილვარ ომის დროს, კაი რამეა. ეს,
მაშინ ჯეელი ვიყავი, იქ ძალიან კაი რა-
მების ხახავ, ტანცი, მანცი...

— სადაც მე მივდივარ...

— კაცო, ეგ სულ ერთია, ზაგრამანიცა
ზაგრამანიცაა, მხოლოდ ჭეშუა მია-
ღონა და გვიყვარები მეც კი ფეხის
გარ. ლიჩნად ერთი პრასტონი რამე უნდა
გთხოვო, ჯიგარო!

— ოკეი! — ვუთხარი მე.

— არა, შაყირი არ გინდა! ერთი ტუმან-
ნი ფარი ჩამაიტანე, პირველ ტაქსშიატორ-
ში ბენდეგესა ვისაც გინდა კითხო, მნახამ,
კაი პატივსა ცცემ, ლიჩნად ჩემი ხელით
გაქვებულ ხინკალს გაჭმევ.

— ოკეი, ბენდეგეს! — ვუთხარი მე და
ტაქსიდან ჩამოვედი. სახლის კიბეები სწრა-
ფად ავირბინე. ერთადერთი სავანე მხო-
ლოდ ჩემი სახლი იყო. კარები ჩემმა გოგო-
ნამ გამიღო, კისერზე მომეტებია და მითხრა:
აი, სად მიდიხარ, მამიკო, შენ, და თი-
თი სასკოლო ატლასში ყველაზე მაღალ
მთიანეთს დაადო. — აქ, მამიკო, პატარის
წევევა ორჯერ უფრო ნაკლებია ზღვის დო-
ნეზე.

— მადლობა ღმერთს! — გოქენი მე.


— ჭეუით იყავი, ნენა, ჭეუით, აბა შენ
იცი! მხოლოდ როცა უკან წამოხვალ, რაცხა
კრენდილი წამეიძღვანიე! ოკეი! — მითხრა
ბებიამ და „ფილია მორისი“ გააბოლა.

რომი ნაიკითხებოდა ქართული დეკაპები ისევ ქართულად:

გამოვიდა ახალი ციგნები დანელია ინცეირველი გელაშვილი შიპია
განც აფადა მურნალობს ცოლის რეჟიმით
გიორგის შარმან ვერ ჩამოუტანე ნამგალი მაგრამ ცელს ჩამო-
გუტან

ხელჩას გვიდიდებენ იანგრიდან ტუ 104 მეტნება მერე
ხმირად ჩამოუჩრინდები

ზოღო მოთარ ჭუპრავაშ



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუბავაძე

სარედაქციო
კოლეგია:
გ. გოლიძეაძე
(გ/მგ. მდივანი),
ს. კლიფიაზვილი,
ს. გალაზონია,
გ. ნიშნიანიძე,
(გთავ. რად.
გოულგილი),
გ. უგოლიძე,
ო. ჭილიძე.

სატირისა და იუმორის
ურნალი „ნიანგი“.

თაილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

თბილისი, Сатирико-
юмористический
журнал «Ниангі».

ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მთადგილი
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კა ვკ-ის გამოცვა-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადამდა ასაფოგაძე
11/IV-69 ვ.
ხლომოვილია დასა-
წყდად 29/IV-69 ვ.
ჩაღალდის ზომა
70×108/8.
ფიზიკური ნაგაზი ფურ-
ცილ 1,
პირობითი ნაგაზი ფურ-
ცილ 1,4.
საქ. კა ვკ-ის გამოცვა-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინგრადი № 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14

შიგ. № 1169.
თე № 02140.
ტირაჟი 110.300.



ნახ. გ. გაგაშვილი

— მე რომ მიმღვერ და მაშინებ, აგმრ მოგიყვანე მღვერია და უგლვირეთ
ურთმანეთს, რამდენიც გინდა!

ე ბ ე დ უ რ ი ბ ე ლ ვ ა ხ ი

ვინმე გელვასი დამისვეს
მე სამსახურში უფროსად.
გეტუვით, რასა იქმს, იცანიო,
ვინ შეხვედრიხართ, უფრო—სად:

კაბინეტი აქვს ცხრა ვერსი,
ახლოს არავის იკარებს,
ვცდილობთ, ვერაფრით გავზომეთ
იმისი სკამის სიგანე.

სახლი აიგო, რა სახლი, —
ენით ადვილად სათქმელი, —
ბროლის სასახლეს გვაგონებს
მისი კარი და სარქმელი.

ორ თვეში ორი იყიდა
მანქანა — „ვოლგა“, „მოსკვიჩი“,
ერთი ძმისაა, მეორე
სიძემ უშოვა მას, ვიცი!

შტატში ორი ჰყავს ვაჟკაცი,
(ფულს უხდის ხალხის დახლიდან).
ბაზრიდან მოაქვთ სურსათი,
ტარას ზიდავენ სახლიდან.

ნაღირობას რომ გადაწყვეტს,
დამხმარე კაცი სურს ათი.
მანქანით მიდის მინდორში
ხორცეული და სურსათი.

გართობისათვის ცხოვრებამ
ფართოდ გაუღო მას კარი.
მონაღირ-მოადგილეთა
ჰყავს უთვალავი ლაშვარი.

მელის დარგში ერთია,
კურდლლის საკითხში არის სხვა.
ამის მიხედვით იყოფა
შტატიც სხვადასხვა ხარისხად.

მოელი დღე ისმის ყიყინა:
„ღროზე ესროლე!“ „ჰე თეთრას!“
ტყუილის დარგში საკუთრივ
თვითონ განავეშს კათედრას.

ისმის ზათქი და... ზანზარი
გაუდის მინდორს, მთა გორებს.
დათვს არ ქლავს, დათვი გელვასის
საკუთარ უფროსს აგონებს.

შაბათს და კვირას ნადირობს,
ორშაბათს სახლში ბრუნდება,
ამ ორ დღეს მხოლოდ უფროსის
პატივისცემას უნდება.

პატივისცემა ცემაა,
ცემა, განა დაცემა..
უფროსს ეხება ყოველგვარ
განკარგულების გაცემა.

ჰოდა, უფროსობს გელვასიც
მყრალი ხეზავით იხარა,
ყოველი სახის სიკეთე
ცხვირ-პირზე ჩამოიყარა.

ერთში კა ნაღდად დაჩიგრეს:
(ო. უბედურო გელვასი!)
სულ რაღაც ერთი თუმნით აქვს
მას ჩვენზე მეტი ხელფასი!

გ. ივანიშვილი

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛАРЫ



— ბატონო! ადგირალო! მისთვის კოლეგები
გვანიშვებს, რას დაგოდიალოგთ ამ ხელთაშუა
ზღვაზი, ამარიცისკენ გზას თუ ვერ აგვებო, მე მი-
გასწავლითო.